



სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

14 აპრილი 2026



N 238/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ძეგვში შპს „ლუკოილ-ჯორჯია“-ს 13 600 მ³ ჯამური მოცულობის ნავთობპროდუქტების საცავის ექსპლუატაციის პირობის ცვლილებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „ლუკოილ-ჯორჯია“-ს მიერ, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ (შემდგომ – კოდექსი) შესაბამისად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ გარემოზე ზემოქმედების შეფასების (შემდგომ – გზშ) ანგარიშის წარდგენის საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში (შემდგომ – სააგენტო), კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის საფუძველზე, წარმოდგენილი იქნა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილებაზე სკრინინგის განცხადება.

2017 წლის 21 ივნისს შპს „ლუკოილ-ჯორჯია“-ს 13 600 მ³ ჯამური მოცულობის ნავთობპროდუქტების საცავის ექსპლუატაციაზე საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ გაცემულია №38 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა, რომლის საფუძველზეც, კოდექსის 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, 2020 წლის 29 დეკემბერს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გაიცა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ბრძანება №2-1244).

2024 წლის 18 მარტს ზემოაღნიშნული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (ბრძანება №2-1244) განსაზღვრული საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილებაზე სააგენტოს მიერ გაიცა სკრინინგის გადაწყვეტილება (ბრძანება №144/ს), რომლის საფუძველზეც ექსპლუატაციის პირობების ცვლილება გზშ-ს არ დაექვემდებარა.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (ბრძანება №2-1244) და სკრინინგის გადაწყვეტილებით (ბრძანება №144/ს) გათვალისწინებული ნავთობპროდუქტების საცავი განთავსებულია მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ ძეგვში, შპს „ლუკოილ-ჯორჯია“-ს საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 72.11.02.144; ფართობი: 47 000 მ²). ნავთობპროდუქტების საცავის ტერიტორია შემოღობილია 1,8 მეტრი სიმაღლის რკინა-ბეტონის ღობით და მასზე მოწყობილია ჯამურად 13 600 მ³ მოცულობის სარეზერვუარო პარკი, რომელიც 18 ერთეული მიწისზედა რეზერვუარისაგან შედგება. აღნიშნული რეზერვუარებიდან ჯამურად 9 600 მ³ მოცულობის 15 ერთეული რეზერვუარი (9 ერთეული – 1 000 მ³ და 6 ერთეული 100 მ³) განკუთვნილია ბენზინის საწვავისთვის, ხოლო ჯამურად 4 000 მ³ მოცულობის 3 ერთეული რეზერვუარი (1 ერთეული – 2 000 მ³ და

2 ერთეული – 1 000 მ³) – დიზელის საწვავისთვის. ნავთობპროდუქტების საცავის ტერიტორიაზე ასევე განთავსებულია საწვავის მიმღები და გამცემი სატუმბო სადგურები, შესაბამისი დამხმარე ინფრასტრუქტურით. ნავთობპროდუქტების საცავი ფუნქციონირებს წელიწადში 365 დღე, 24-საათიანი სამუშაო რეჟიმით და მისი წლიური ტვირთბრუნვა 100 000 ტონას (ბენზინი – 50 000 ტონა და დიზელი – 50 000 ტონა) შეადგენს.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ნავთობპროდუქტების საცავიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლები (ს/კ: 72.11.03.204, 72.11.01.025, 72.11.04.126) მდებარეობს როგორც ჩრდილოეთის, ისე სამხრეთის და სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით და ნავთობპროდუქტების საცავის ტერიტორიიდან არანაკლებ 350 მეტრით არის დაშორებული. უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი, მდინარე მტკვარი, ნავთობპროდუქტების საცავის ტერიტორიიდან დაახლოებით 100 მეტრში მიედინება.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, ნავთობპროდუქტების საცავის ტერიტორიიდან 500-მეტრიან რადიუსში ფიქსირდება ნავთობგადამამუშავებელი საწარმო, ბიტუმის მიმღები საწარმო, ხის დამუშავების საწარმო, ასფალტის საწარმო, ასევე ქაღალდისა და სამშენებლო მასალის საწარმოები.

სკრინინგის განცხადების თანახმად, შპს „ლუკოილ-ჯორჯია“ გეგმავს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილებას, რაც გულისხმობს სარეზერვუარო პარკის ჯამური მოცულობის შემცირებას, ასევე ნავთობპროდუქტების მიმღები სატუმბო სადგურის და ავტოცისტერნებში საწვავის გასაცემი კუნძულის რეკონსტრუქციას. კერძოდ, ექსპლუატაციის პირობის ცვლილებით 2 ერთეული (№17-№18 – ჯამურად 3 000 მ³) მიწისზედა ვერტიკალური ცილინდრული რეზერვუარი გაუქმდება, ხოლო 6 ერთეული (№11-№16 – ჯამურად 600 მ³) მიწისზედა ვერტიკალური ცილინდრული რეზერვუარი ერთი ერთეული (1 000 მ³) მიწისზედა ვერტიკალური ცილინდრული რეზერვუარით ჩანაცვლდება. აღნიშნული ცვლილებით სარეზერვუარო პარკში არსებული რეზერვუარების რაოდენობა შემცირდება 18-დან 11 ერთეულამდე, ხოლო სარეზერვუარო პარკის ჯამური მოცულობა – 13 600 მ³-დან 11 000 მ³-მდე. ბენზინის საწვავის შესანახად, ნაცვლად ჯამურად 9 600 მ³ მოცულობის 15 ერთეული რეზერვუარისა, ჯამურად 8 000 მ³ მოცულობის 8 ერთეული რეზერვუარი (თითოეული – 1 000 მ³) იქნება გამოყენებული, ხოლო დიზელის საწვავის შესანახად, ნაცვლად ჯამურად 4 000 მ³ მოცულობის 3 ერთეული რეზერვუარისა, ჯამურად 3 000 მ³ მოცულობის 3 ერთეული რეზერვუარი (თითოეული – 1 000 მ³) იქნება გამოყენებული. ამასთან, ნავთობპროდუქტების მიმღები სატუმბო სადგურის და ავტოცისტერნებში საწვავის გასაცემი კუნძულის რეკონსტრუქციის შედეგად, ნავთობპროდუქტების მიმღებ სატუმბო სადგურში ჯამურად 6 ერთეული ტუმბო (თითოეული – 160 მ³/სთ) იფუნქციონირებს, ავტოცისტერნებში საწვავის გასაცემ კუნძულზე, ზედა ჩასხმის №1 პუნქტში ზედა ჩასხმის სისტემა ქვედა ჩასხმის სისტემით ჩანაცვლდება, ხოლო ნავთობპროდუქტების გასაცემი ზედა ჩასხმის №2 პუნქტი გაუქმდება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, დაგეგმილი ექსპლუატაციის პირობის ცვლილებით გათვალისწინებული სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები დაახლოებით 11-12 თვის განმავლობაში გაგრძელდება და სამუშაოების ადგილმდებარეობის, სპეციფიკის და მასშტაბის გათვალისწინებით, გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მოსალოდნელ მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან დაკავშირებული არ იქნება.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, დაგეგმილი ექსპლუატაციის პირობის ცვლილება დაკავშირებული იქნება სარეზერვუარო პარკის ტერიტორიის ფართობის, სარეზერვუარო პარკში სანიაღვრე წყლის შეგროვების ფართობის და წარმოქმნილი სანიაღვრე წყლის რაოდენობის ცვლილებასთან.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, დაგეგმილი ექსპლუატაციის პირობის ცვლილების გათვალისწინებით, ნავთობპროდუქტების საცავის ექსპლუატაციის ეტაპზე ადგილი აქვს მავნე ნივთიერებების, კერძოდ, ნაჯერი ნახშირწყალბადების (C_1-C_5 , C_6-C_{10} , $C_{12}-C_{19}$) გოგირდწყალბადის, ამილენის, ბენზოლის, ქსილოლის, ტოლუოლის, ასევე ეთილბენზოლის გამოყოფას და მათ ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევას. დოკუმენტში, დაგეგმილი ექსპლუატაციის პირობის ცვლილებისა და კუმულაციური ზემოქმედების გათვალისწინებით, წარმოდგენილია ნავთობპროდუქტების საცავის ფუნქციონირების პროცესში ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება, იდენტიფიცირებულია მავნე ნივთიერებების გამოყოფისა და გაფრქვევის წყაროები, ასევე აღნიშნული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები. გაზნევის მოდელირებული შედეგებით, ნავთობპროდუქტების საცავის ექსპლუატაციის ეტაპზე ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერების კონცენტრაცია უახლოეს საცხოვრებელ სახლებთან კანონმდებლობით დადგენილ ზღვრულად დასაშვებ ნორმებს არ აჭარბებს.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ნავთობპროდუქტების საცავის ფუნქციონირების პროცესში ხმაურის გავრცელების ძირითად წყაროს წარმოადგენს ნავთობპროდუქტების მიმღები სატუმბო სადგურის შენობაში და ნავთობპროდუქტების გაცემის პუნქტებში დამონტაჟებული ტუმბოები. ვინაიდან ექსპლუატაციის პირობის ცვლილებით ხმაურწარმომქმნელი წყაროების (ტუმბოები) რაოდენობა მცირდება, დაგეგმილი ექსპლუატაციის პირობის ცვლილება ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების მნიშვნელოვან ცვლილებასთან დაკავშირებული არ იქნება.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, ნავთობპროდუქტების საცავის საქმიანობის პროცესში მოსალოდნელი ნარჩენების მართვა ხდება სააგენტოსთან შეთანხმებული ნარჩენების მართვის გეგმით, ხოლო ექსპლუატაციის პირობის ცვლილებით გათვალისწინებული სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების შედეგად წარმოქმნილი მცირე რაოდენობით სამშენებლო ნარჩენი დროებით განთავსდება ნავთობპროდუქტების საცავის ტერიტორიაზე და შემდგომი მართვის მიზნით შესაბამისი უფლებამოსილების მქონე კომპანიას გადაეცემა.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ნავთობპროდუქტების საცავი არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ასევე დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. დაგეგმილი ექსპლუატაციის პირობის ცვლილება გათვალისწინებულია მაღალი ანთროპოგენური დატვირთვის მქონე ტერიტორიაზე და ახალი ტერიტორიების ათვისებას არ უკავშირდება.

სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს კორესპონდენტის თანახმად, საპროექტო ტერიტორია (ს/კ: 72.11.02.144) არ ექვევს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების ინდივიდუალურ დამცავ ზონაში და მასზე „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონით ძეგლის დამცავ ზონაში მოქმედი სამართლებრივი რეჟიმი არ ვრცელდება. რაც შეეხება არქეოლოგიურ ობიექტებს, ვინაიდან საპროექტო ტერიტორია მდებარეობს არქეოლოგიურად სენსიტიურ ზონაში, აუცილებელია მიწის სამუშაოები არქეოლოგიის მეთვალყურეობით წარიმართოს,

ხოლო არქეოლოგიური ობიექტის გამოვლენის შემთხვევაში, „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად, დაუყოვნებლივ შეჩერდეს სამუშაოები და აღმოჩენის შესახებ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს ეცნობოს.

სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს კორესპონდენციის მიხედვით, საპროექტო ტერიტორია მოიცავს 2017 წელს შპს „ლუკოილ-ჯორჯია“-ზე 25 წლის ვადით გაცემულ №1004831 ლიცენზიას და მისი პირველი სანიტარიული დაცვის მკაცრი რეჟიმის ზონას. სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო არ არის წინააღმდეგი განხორციელდეს ექსპლუატაციის პირობის ცვლილება, თუ ხელი არ შეეშლება ლიცენზიით გათვალისწინებულ საქმიანობას და ასევე უზრუნველყოფილი იქნება სალიცენზიო პირობების დაცვა.

კოდექსის მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და გადაიგზავნა მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიამში, საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. სკრინინგის განცხადების განხილვის ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე საზოგადოების მხრიდან სკრინინგის განცხადებით გათვალისწინებულ საქმიანობასთან დაკავშირებით (ექსპლუატაციის პირობის ცვლილება) წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში წარმოდგენილი არ ყოფილა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპლუატაციის პირობის ცვლილების კოდექსით განსაზღვრული კრიტერიუმებით შეფასების მიხედვით, კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილისა და მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ძეგვში შპს „ლუკოილ-ჯორჯია“-ს 13 600 მ³ ჯამური მოცულობის ნავთობპროდუქტების საცავის ექსპლუატაციის პირობის ცვლილება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული საქმიანობის ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ **გზშ-ის ანგარიშის წარდგენას არ საჭიროებს.**
2. შპს „ლუკოილ-ჯორჯია“ ვალდებულია, საქმიანობა განახორციელოს 2020 წლის 29 დეკემბერს გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (ბრძანება №2-1244) განსაზღვრული პირობების შესაბამისად, წარმოდგენილი ექსპლუატაციის პირობის ცვლილების გათვალისწინებით.
3. შპს „ლუკოილ-ჯორჯია“ ვალდებულია, ექსპლუატაციის პირობის ცვლილებამდე, წარმოდგენილი ექსპლუატაციის პირობის ცვლილების გათვალისწინებით უზრუნველყოს:
 - ა) განახლებული ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტის სააგენტოსთან შეთანხმება.
 - ბ) განახლებული ზედაპირული წყლის ობიექტში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმების პროექტის სააგენტოსთან შეთანხმება.
 - გ) განახლებული კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის სააგენტოსთან შეთანხმება.
4. შპს „ლუკოილ-ჯორჯია“ ვალდებულია, ექსპლუატაციის ეტაპზე, წარმოდგენილი ექსპლუატაციის პირობის ცვლილების გათვალისწინებით უზრუნველყოს:
 - ა) სააგენტოსთან შეთანხმებული გამოყოფის და გაფრქვევის წყაროების პარამეტრების დაცვა და შესაბამისად დადგენილი ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტის შესრულება.

- ბ) სააგენტოსთან შეთანხმებული ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმების დაცვა.
- გ) სააგენტოსთან შეთანხმებული კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის შესრულება.
- შპს „ლუკოილ-ჯორჯია“-სთვის ზემოაღნიშნული პირობები წარმოადგენს 2020 წლის 29 დეკემბერს გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (ბრძანება №2-1244) განსაზღვრული პირობების განუყოფელ ნაწილს და მათი შესრულება სავალდებულოა.
 - ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ლუკოილ-ჯორჯია“-ს.
 - ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ლუკოილ-ჯორჯია“-ს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე.
 - სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე.
 - ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ელენე ლუბიანური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

<https://edocument.ge/mea/public/#/238-21-4-202604141740>

